პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 ნოემბერი ხუთშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 277 (14881)



შეასრულეს ხუთწლედი

ყირგიზეთის სსრ

ასრულებენ რა პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყირგიზეთის სსრ მშრომელებმა ვადამდე გაანადღეს სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის ხუთწლიანი გეგმა. პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 1,8-ჯერ, შრომის ნაყოფიერება — 1,4-ჯერ.

რესპუბლიკის ინდუსტრია ახალ მიჯნაზე გავიდა. ხუთწლეულში მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოების მოცულობა გადიდდა 2,2-ჯერ, ფერადი მეტალურგიისა — 2,6-ჯერ, კიდევ უფრო განვითარდა ელექტროენერგეტიკა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. 1965 წელთან შედარებით მიმდინარე წელს დამზადდება შალის ქსოვილები 3,2-ჯერ, ზედა ტრიკოტაჟი და ტყავის ფეხსაცმელი — 2-ჯერ მეტი. ამასთანავე ვერ სრულდება ზოგიერთი სამრეწველო ნაწარმის გამოშვების დავალებანი. რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა, გაზრდილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დაყრდნობით, გაადიდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. გაიზარდა ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა. ცხვრისა და თხის რაოდენობა 1,3 მილიონი სულით გადიდდა.

მარცვლეულის საშუალო წლიური წარმოება წინა ხუთწლეულთან შედარებით იზრდება 45 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 15, ხამი ბამბისა — 10, უურძნისა — 78, ხორცისა — 24, რძისა — 19, მატყლისა — 33 პროცენტით. (საკდესი).

ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა ნოგათეგი

გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მშრომელებმა XJრ კიდევ 1 ნოემბრისათვის შეასრულეს ხუთწლედი ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 13.500 ტონა ხორცი, 1.500 ტონა ძეხვეული, 200 ტონა ნახევრფაბრიკატები, 1.600 ტონა ყველი, 500 ტონა მოუხდელი რძის პროდუქტი. შრომის ნაყოფიერების დავალება 127,2 პროცენტით შესრულდა.

ხუთწლედის მანძილზე მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოები— ქუთაისისა და ახალციხის ხორცის კომბინატები, კოთელიის, წალკის, ბანძის, ზესტაფონის, ჭიათურის, ცხინვალის რძის ქარხნები, თბილისის ორგანულ-თვრაპიული პრეპარატების ქარხანა. განსორციელდა რეკონსტრუქცია და ამოქმედებულია დამატებითი სიმძლავრეები თბილისის, სოხუმის, გაგრის, წყალტუბოსა და ბორჯომის ხორცის კომბინატებში. ამის შედეგად ცვლაში ყველის წარმოება გაიზარდა ცხრა ტონით, ხოლო რძის პროდუქციისა — 36,7 ტონით.

ბევრი რამ გაკეთდა საწარმოთა ტექნიკური ხელახალი შეიარაღების საქმეში. დამონტაჟებული და საექსპლოატაციოდ გადაცემულია ძეხვეულის წარმოების, ბოთლების რეცხვისა და ბოთლებში რძისა და რძის ნაწარმის ჩასხმის, ჭაღალდის პაკეტების დამზადების ახალი ავტომატური ხაზები და სხვა მოწყობილობა. ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად წელიწადში დაზოგილია 700 ათას მანეთზე მეტი.

ხუთწლედის მანძილზე კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობამ შეადგინა 31,2 მილიონი მანეთი. ეს თანხა შომავალ ხუთწლედში 13 მილიონი მანეთით გაიზრდება. მწყობრში ჩადგება კიდევ რამდენიმე ახალი საწარმო. (საქდესი).

ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობა

PRAVDA

23 ნოემბრის მოწინავე

ჩანს უფრო ახლოვდება სკკპ XXIV ყრილობა, სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი აქტივობა შრომაში, ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისათვის შეჯიბრებაში, სულ უფრო მტკიცდება მათი შეკავშირება პარტიის გარშემო, იდეური და პოლიტიკური ერთიანობა, კომუნისტური რწმენა.

მაღალი იდეურობა, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობები, კომუნიზმის დიადი საქმის სიმართლისა და უძლეველობის ღრმად შეგნება — აი მთავარი სულიერი თვისებანი, რომლებსაც დაუცხრომლად და მზრუნველობით უნერგავს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს კომუნისტური პარტია.

ამ თვისებების ჩანერგვა, კომუნისტური მსოფლმხედველობისა და ზნეობის ჩამოყალიბება თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს სოციალიზმსა და იმპერიალიზმს შორის უმწვავესი იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის აპრილის პლენუმმა აღნიშნა, იმპერიალიზმი, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, რომელიც მარცხს მარცხზე განიცდის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, სულ უფრო მეტად მიმართავს პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დივერსიებს სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მთელი დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ. ეს მოითხოვს მტკიცედ, თანმიმდევრულად განვაბორციელოთ კლასობრივი ხაზი აღზრდის საკითხებში, დავადგეთ მკაფიო და ნათელ იდეურ პოზიციებს, კიდევ უფრო ავამაღლოთ სიფხიზლე და გავაძლიეროთ ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, სოციალიზმისათვის უცხო შეხედულებებისა და ჩვეულებების შემოჭრის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ჩვენში, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში, არ არის სოციალური ბაზა ასეთ შეხედულებათა გავრცელებისათვის. მაგრამ ამან არ უნდა დაგვამშვიდოს. „დაუცხრომლად უნდა ვიბრძოლოთ ყოველგვარი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რაგინდ მოდერ ან ბრწყინვალე სამოსელშიც უნდა გამოეწყოს იგი“. ვ. ი. ლენინის ეს მოწოდება განსაკუთრებული ძალითა და აქტუალობით გაისმის ახლა, როცა კაპიტალის იდეოლოგიური ლაქიები ყოველგვარ ფალსიფიკაციას მიმართავენ, ოღონდ მოწამლონ მშრომელთა შეგნება, ჩირქი მოსცხონ სოციალიზმს და თან შეალამაზონ გახრწნილი ბურჟუაზიული ცხოვრების წესი, ეჭვპლოტაციისა და ძალმომრეობის წყობილება. ბურჟუაზიული პროპაგანდა მთელი ძალებითა და საშუალებებით ცდილობს გავლენა მოახდინოს ცალკეულ მერყევ ადამიანებზე, რათა „დაამუშაოს“ ისინი ანტისოციალისტური სულისკვეთებით. იმპერიალისტური პროპაგანდის ხელშემწყობებად გამოდან მემარჯვენე და „შემარცხენე“ რევიზიონისტები, რომლებიც ამახინჯებენ რევოლუციური თეორიის არსს, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პრინციპებს.

ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და რევიზიონიზმის საშიშროების შეუფასებლობა შეუწყნარებელია. ხაზი გაუსვა რა ამას მოხსენებაში „ლენინის სამი ცოცხლობს და იმარჯვებს“, ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „გამოცდილება მოწმობს, რომ ამგვარი შეუფასებლობის ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს იდეური მერყეობის, ამოლიტიკურობისა და უპრინციპობის შხამიანი თესლი. კომუნისტებმა უნდა ისწავლონ ლენინისაგან რწმენა და იდეური სიმტკიცე, მგზნებარება ბრძოლაში ჩვენი რევოლუციური თეორიის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ, შეურიგებლობა ჩვენი სოციალისტური საზოგადოების მოჭალაქეთა შეგნებაში ძველი სამყაროს გადმონაშთების ყოველგვარი გამოვლინებისადმი“.

ახორციელებს რა სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ჩვენმა პარტიამ ბევრი რამ გააკეთა და აკეთებს იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებისათვის, კომუნისტებში, ყველა საბჭოთა ადამიანში იდეური სიმტკიცისა და მტრული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის გრძნობის ჩანერგვისათვის. მათი პოლიტიკური წრთობის პროცესში უდიდეს როლს ასრულებს პარტიული სწავლების სისტემა. საბჭოთა ადამიანების იდეურ ზრდას ბევრად შეუწყო ხელი თეორიული მუშაობისა და პროპაგანდის გაუმჯობესებამ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით. რევოლუციური თეორიის ღრმა შემოქმედებითი შესწავლა სულიერად აიარაღებს კომუნისტებს, საშუალებას აძლევს მათ უფრო აქტიურად და ქმედითად იბრძოლონ ანტიკიკურობის, ერძოლიზაციურობა, ანტიეროვნულობა, ანტიინტერნაციონალიზმის, ანტიკომუნისტურობა, ანტიბოლშევიზმის, ანტიმარქსიზმ-ლენინიზმის, ანტიეროვნული ნიჰილიზმის, ანტიეროვნული ნიჰილიზმის, ანტიეროვნული ნიჰილ

ᲥᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ — ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲒᲐᲜᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ. ᲘᲒᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ 73 ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ, 46 ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ 78 ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲐᲘᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘ. 3.138 ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝᲛ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲡᲐᲛᲭᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲓᲘᲐᲮ, ᲓᲠᲝ ᲛᲪᲘᲠᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲑᲘᲠᲕᲘ ᲠᲐᲛ ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲮᲐᲡᲐᲗᲘ ᲐᲮᲐᲡᲮᲐ ᲰᲥᲝᲕᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲝᲚ ᲛᲘᲡᲐᲛᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲙᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡᲐᲪᲚᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲒᲐᲡᲐᲥᲘᲗᲮᲚᲔᲡ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲘᲗ ᲔᲙᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲚᲙᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲖᲔ.

ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲩᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲜᲔ Გ. ᲒᲣᲜᲐᲕᲐ 12-ᲗᲐᲗᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲧᲠᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲛᲝᲘᲯᲐᲠᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ 125,3 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ.

ᲙᲐᲛᲗᲘᲗ 12 ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲚᲣᲚᲝᲜᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲪᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲪᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲛᲝᲘᲯᲐᲠᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ 125,3 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ.

ᲙᲐᲛᲗᲘᲗ 12 ᲓᲔᲚᲔᲗᲐᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲚᲣᲚᲝᲜᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲪᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲪᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲛᲝᲘᲯᲐᲠᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ 125,3 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ.

ᲓᲦᲘᲗᲘᲓᲦᲔ ᲐᲮᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲓᲔᲑᲐ ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲚᲣᲚᲝᲜᲘᲡ

მსოფლიო დღეს

მჯაკიცე ნაბიჯით

სოციალისტური ქვეყნების პრესა დიდ ყურადღებას უთმობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის 10 ყრილობის მუშაობას, მომმე პარტიების ხელმძღვანელთა გამოსვლას ყრილობაზე, აღნიშნავს მარქსისტულ-ლენინური იდეების უდიდეს მნიშვნელობას სოციალისტური სახელმწიფოების წარმატებით განვითარებისათვის, მათ მისწრაფებას განმტკიცონ მეგობრული კავშირი.

ბუდაპეშტი. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის 10 ყრილობას ცენტრალური ადგილი უკავია უნგრეთის პრესის ფურცლებზე, უნგრეთის რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში. ბუდაპეშტის გაზეთები ყველაზე თვალსაჩინო ადგილს უთმობენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის მოხსენებას, მომმე პარტიათა დელეგაციების მეთაურების, ყრილობის დელეგატების გამოსვლებს. „ნეპსაბადშაგი“ პირველ გვერდზე ბეჭდავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას უნგრელ კომუნისტთა ყრილობაზე. გაზეთი აღნიშნავს ეკონომიური და პოლიტიკური თანამშრომლობის განმტკიცებას უნგრეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, ყველა სოციალისტურ ქვეყანას შორის, წერს, რომ საჭიროა სოციალისტური ქვეყნების კიდევ უფრო მჭიდრო შეკავშირება ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლოგიისა და თავდაცვის დარგში.

ვარშავა. „სოციალიზმის მშენებლობაში მტკიცე ნაბიჯის დემონსტრაცია“, — ასე აფასებს პოლონეთის პრესა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის 10 ყრილობის მუშაობას.

მოუთხრობს რა მკითხველს ყრილობის მუშაობის შესახებ, „ტრიბუნა ლუდუ“ ყრილობას ახასიათებს, როგორც მომმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციას.

ბერლინი. უნგრელ კომუნისტთა ფორუმს დიდ ყურადღებას უთმობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა, ვრცლად აქვეყნებს ყრილობის მასალებს — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პირველი მდივნის ი. კადარის მოხსენებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას.

სათაურით „ჩვენი ხალხები ერთად აშენებენ ახალ სამყაროს. სოციალისტური თანამშრომლობის უმაღლესი საფეხურისათვის“, „ნოიეს დოიჩლანდი“ პირველ გვერდზე ათავსებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის სრულ ტექსტს.

პრაღა. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის 10 ყრილობა, რომელიც პუდაპეშტში მიმდინარეობს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტთა ყურადღების ცენტრშია. პრესა აქვეყნებს ბუდაპეშტიდან გადმოცემულ დაწვრილებითს ანგარიშებს.

დღევანდელი პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ყრილობაზე. გაზეთები აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ეხმიანება ეკონომიკაში, პოლიტიკაში, იდეოლოგიაში, თავდაცვის საქმეებში სულ უფრო მჭიდროდ აკოორდინირებენ თავიანთ ღონისძიებებს.

ბელგრადი. იუგოსლავიის პრესა დაწვრილებით აშუქებს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის 10 ყრილობის მუშაობას, ბეჭდავს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის მოხსენების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსს.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა დიდი ყურადღება დაუთმო სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პრობლემებს. (საკდესი).

ბონი

დაკაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი

ბონი, 25 ნოემბერი. (საკდესი). **ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ხელმძღვანელობა კვლავ წინააღმდეგია, რომ განხორციელდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაცია სოციალისტურ ქვეყნებთან იმ რეალური მდგომარეობის საფუძველზე, რომელიც ევროპაში შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.**

წამოაყენა რა ერთ დროს „სერიოზული მოსაზრებანი“ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულების წინააღმდეგ, ახლა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი მტრულად შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელშეკრულებას.

ამ პოზიციას ადასტურებს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც ბონში გაიმართა. პარტიის თავმჯდომარემ, ყოფილმა კანცლერმა კიზინგერმა კვლავ გაილაშქრა პოლონეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულების წინააღმდეგ. მან მოიითხოვა, რომ ბონის მთავრობა გამჭიდროდეს „ყველა გერმანელის სახელით“.

ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარემ შტრაუსმა ტელევიზიით გამოსვლაში განაცხადა, რომ კატეგორიულად წინააღმდეგია გერმანიის სოციალისტური რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელშეკრულების რატიფიკაციისა.

გვინეის რესპუბლიკა

სეკუ ტურეს მიმართვა

დაკარი, 25 ნოემბერი. (საკდესი). **კონაკრის რადიომ გამოაქვეყნა გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტის სეკუ ტურეს მიმართვა „მდინარე სენეგალის აუზის სახელმწიფოთა ორგანიზაციის (ორს) წევრებისადმი, აფრიკის ქვეყნებისა და პროგრესული კაცობრიობისადმი“.** გვინეის პრეზიდენტმა ეს მიმართვა წაიკითხა ორსის დელეგაციების მიღებაზე, რომლებიც შეიკრიბნენ გვინეის დედაქალაქში საგანგებო სესიაზე, რათა განეხილათ მდგომარეობა, რომელიც გვინეაში შეიქმნა პორტუგალიის აგრესიის შედეგად.

პორტუგალიელ კოლონიზატორთა და საერთაშორისო იმპერიალიზმის აგრესია მიმართული იყო არა მარტო გვინეის რესპუბლიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე მთელი აფრიკის წინააღმდეგ, თქვა სეკუ ტურემ. პორტუგალიელი აგრესორები აპირებდნენ დაემხოთ არსებული წესწყობილება, ამასთან ვარაუდობდნენ, რომ გვინეა იხოლიერებული დარჩება და აფრიკის ქვეყნები არ გაუწევდნენ მას დახმარებას აგრესიის მოგერიებაში. მაგრამ, ხაზი გაუსვა სეკუ ტურემ, კონტინენტის ქვეყნების უმრავლესობა მხარს უჭერს გვინეელი ხალხის ბრძოლას.

მტერი მოიგერიეს საფრთხე კი დარჩა

დაკარი. 24 ნოემბერი.. (საკდესი). **კონაკრიდან მიღებული ცნობების თანახმად, თუმცა გვინეის რესპუბლიკის შეიარაღებულმა ნაწილებმა მოიგერიეს პორტუგალიელთა მიერ დაქირავებული ბანდების ყველა ცდა შეჭრილიყვნენ გვინეის ტერიტორიაზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ აღკვეთილა ახალი შეჭრის საფრთხე.**

გვინეის რადიოს ცნობებით, წუხელ დაქირავებულებმა მესამედ სცადეს სანაპიროზე გადახდომა. მაგრამ გვინეის არმიის ნაწილების ძალებმა მთლიანად მოიგერიეს დაქირავებულთა ბანდების ეს იერიშიც.

კონაკარი, 25 ნოემბერი. (საკდესი). **დაქირავებულთა იმ რაზმების ყველა ცდა, რომლებსაც პორტუგალიელები ხელმძღვანელობენ, გადმომსხდარიყვნენ და გამაგრებულიყვნენ გვინეის მიწაყალზე, მოგერიებულ იქნა. მაგრამ გვინეის რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში ისევ არიან პორტუგალიის სამხედრო ხომალდები და სადესანტო გემები, აგრეთვე წყალქვეშა ნავი.**

კონაკარი. 25 ნოემბერი. (საკდესი). **მას შემდეგ, რაც უკუაგდეს იმპერიალისტ დაქირავებულთა მრავალეზრი თავდასხმები, გვინეის დედაქალაქში ცხოვრება თანდათანობით ნორმალური ხდება. განახლდა ქალაქის საწარმოების, სახელმწიფო დაწესებულებების და ტრანსპორტის ნორმალური მუშაობა. დედაქალაქის ბევრი მშრომელი გამოვიდა საბუშაოდ და თან ატარებს იარაღს, რათა ყოველ წუთს მზად იყოს მოიგერიოს მტრის თავდასხმა. მთავრობის ჯარები და მშრომელთა შეიარაღებული რაზმები მთლიანად კონტროლს უწევენ მდგომარეობას კონაკრიში და მის მიდამოებში.**

სტამბოლი

შეშფოთება მომავლის გამო

სტამბოლი, 25 ნოემბერი. (საკდესი). **თურქეთის საზოგადოებრიობა სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს თავისი ქვეყნის მომავლის გამო, რომელიც ეს-ეს არის შევიდა „საერთო ბაზართან“ ასოციაციის ევროეფოდებულ გარდამავალ პერიოდში. მათ მიაჩნიათ, რომ ამ ნაბიჯს მოჰყვება თურქეთის ეკონომიკისათვის დამღუპველი შედეგები, რამდენადაც თურქეთი დიდად დამოკიდებული გახდება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებზე.**

„საერთო ბაზარი თურქეთის ეროვნული მრეწველობის სამარად გადაიქცევა“, — განაცხადა თურქეთის უდიდესი ოპოზიციური სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ ბესიმ უსტუნელმა, როცა ლაპარაკობდა ბრიუსელში ხელმოწერილ დამატებით ოქმზე, რომელიც შეეხება თურქეთის შესვლას ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში მონაწილეობის გარდამავალ პერიოდში.

თურქეთის მუშათა პარტიის გენერალურმა მდივანმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ „საერთო ბაზარში“ შესვლის შემდეგ თურქეთის დამოუკიდებლობას, რომელსაც ჩრდილს აყენებს მისი მონაწილეობა ნატოში და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივ შეთანხმებაში, კიდევ უფრო მეტი ზიანი მოუვა.

ფოტოსურათი აღასტურებს



სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები წარმატებით ოპერაციებს ახორციელებენ ამერიკელ აგრესორთა და მათი დამქაშების წინააღმდეგ. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, სანხრეთ ვიეტნამის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მეომრებმა, რომლებიც კუანგნგაის პროვინციაში მოქმედებენ, ორი კვირის განმავლობაში მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 350-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ჩამოაგდეს ამერიკის ოთხი თვითმფრინავი, გაანადგურეს ხუთი ჯავშანტრანსპორტიორი. სურათზე: მარიონეტული არმიის დაჭრილ ჯარისკაცებს ზურგში გზავნიან.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ყოველი მხრიდან

რაზე ნერს უცხოეთის პრესა

ლაზღვარგარეთის დღევანდელი გაზეთების ყურადღებას იპყრობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის X ყრილობაზე. სიტყვის დაწვრილებითს შინაარსში უცხოეთის პრესა ხაზს უსვამს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის ეფექტიანობის გადიდებასა და საერთაშორისო ვითარების ანალიზთან. **პარიზის „ლუმანიტე,“ ისე როგორც ბევრი სხვა გაზეთი, აშუქებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ძირითად დებულებებს.** გაზეთი ხაზს უსვამს სოციალისტური ქვეყნების სოლიდარობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხებისადმი და აღნიშნავს სოციალისტური სახელმწიფოების დიდ წვლილს ევროპის გამწვავებული ვითარების შენელებაში.

პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“ კომენტარში ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ამჟამად უკვე ვიღარავინ უარყოფს იმ უდიდეს დადებით როლს, რომელსაც თანამედროვე ევროპის საერთაშორისო ცხოვრებაში ასრულებს სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობა.

დღეს მთელი პროგრესული პრესა აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ლუდვიკ სვობოდას დაბადების 75 წლისთავს. ამასთან დაკავშირებით ქვეყნდება იუბილარისადმი მიძღვნილი სტატიები და ნარკვევები. **იუწყებიან, რომ იუბილესთან დაკავშირებით პრაღაში ჩავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.**

დღევანდელ გაზეთებში დაბეჭდილია ბევრი მასალა, რომელიც მოწმობს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა გულისწყრომით გმობს ამერიკის მხედრიონის ახალ თავხედურ პროვოკაციებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ეხება რა გვინეის რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას, უცხოეთის პრესა აღნიშნავს, რომ პორტუგალიელი იმპერიალისტების მიერ მოწყობილი ინტერვენცია მოგერიებულია, მაგრამ რესპუბლიკას ჯერ კიდევ ემუქრება საფრთხე. აქვეყნებენ ბევრი აფრიკული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის განცხადებებს, **რომლებშიც ისინი სამარცხვინო ბოძზე აკრავენ იმპერიალისტ ავანტიურისტებს.**

**„თავხედურ ბოროტმოქმედებას“ უწოდებს ამ აგრესიას ბულგარული გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“. „პორტუგალიელ აგრესორთა მოქმედების ჩაფუშვა, — იძლევა გაფრთხილებას პოლონური „გლოს პრა

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სახელმწიფო სურათების გალერეაში მოწყობილი აფხაზეთის მხატვართა გამოფენა საინტერესოა ქართა მრავალფეროვნებით. აქ წარმოდგენილია ისტორიული თუ ჟანრული კომპოზიციები, პორტრეტები, ნატიურმორტები. როგორც ყოველთვის ახლაც აფხაზეთის მხატვრებისათვის ყველაზე საყვარელი ჟანრი მაინც პეიზაჟია.

გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს თემატური ნაწარმოებები, რომელშიც გადმოცემულია რევოლუციური წარსული, საბჭოთა ხალხის შრომის ჰეროიკა, მისი დღევანდელი და ხვალინდელი დღე.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის თემას. ამ მხრივ საინტერესოა მ. კიკვაძისა და ზ. ჯინჯოლიას პორტრეტული ნამუშევრები, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მოღვაწის **ა. კანიუკოვის** „ეფრემ ეშბა ლენინთან“, **ხ. მინასიანის** „რევოლუციის შტაბი“, **ვ. გაგულია-ავიძბას** „ლენინისადმი მიძღვნილ გამოფენაზე“, **ვ. ბერნადინის** „გამარჯობა, ამხანაგებო“, „ბადიკით ყველა ამხანაგს“ და „მოდი გავეცნოთ ერთმანეთს“, **ი. ფულინსკის** „სტუმარი ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან“, **ხ. ავიძბას** „ლენინის ზეიმი სოფელში“ და სხვ.

მშვიდობის თემას ეძღვნება **პ. ცქვიტარიას** „მათ მშვიდობა სურთ“ და **ო. ბრენდელის** „მათ სჭირდებათ მშვიდობა“.

საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახველი სურათებიდან აღსანიშნავია **ხ. ავიძბას** „საკოლმეურნეო მინდვრებზე“, **რ. გაბელიას** „მხნეულები“, კარგია აგრეთვე **ხ. მინასიანის** „მშენებლები“, **ა. ფანგანის** „გამარჯვების ზეიმი სვანეთში“, **ბ. პეტროვის** „ხანძარი მოსკოვში“, **ზ. ჯინჯოლიას** „რევოლუციის მხლრები“, **გ. წივწივაძის** „ჯარისკაცის ფიცი“, **გ. ზედგინიძის** „ხეტყის დამზადებაზე“, **ვ. შაკირბაის** „ვიეტნამი“ და სხვ.

გამოფენის მონაწილეთაგან უპირველეს ყოვლისა უნდა ვთქვათ სახელგანთქმული მხატვრის **ა. შერვაშიძის** შესახებ, რომლის ნაწარმოებებიც, სამწუხაროდ, ძალიან ძუნწად არის წარმოდგენილი გამოფენაზე. მხატვარი ხატავდა პეიზაჟებს, ნატიურმორტებს, სიუჟეტურ სურათებს, მაგრამ ყველაზე უფრო იზიდავდა პორტრეტი, განსაკუთრებით კი დეკორატიული დარგი. ა. შერვაშიძე დიდხანს ცხოვრობდა საფრანგეთში და იქვე გარდაიცვალა ამ წელს გადაცემული. ამჟამად ა. შერვაშიძის ნაწარმოებები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (სადაც ახლახან მოწყობილი იყო მისი ნაწარმოებების პერსონალური გამოფენა), სოხუმის დ. გულიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სურათების გალერეაში, ლენინგრადის სახელმწიფო თეატრალურ მუზეუმში, სსრ კავშირის და საზღვარგარეთის სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

ჩვენს გამოფენაზე ექსპონირებულია ა. შერვაშიძის სამი შესანიშნავი ნაწარმოები: „ავტოპორტრეტი“, „ქალბატონ ბისონის პორტრეტი“ და „ბაღში“.

აფხაზეთის უხუცესი მხატვარი **ვ. კონტარეი** მეტად თავისებურად აღიქვამს სამყაროს. მხატვარს უყვარს მთიანეთი, მაღლა აზიდული, ნისლით დაფარული თოვლიანი მთები, გამჭვირვალეა, ჰაერი, მდინარე, ბუნების მაცოცხლებელი ნაკადული. ყოველი მისი პეიზაჟი განწყობილებით არის დაფერილი.

საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ი. ცომაია** გამოფენაზე წარმოდგენილია დიდი კომპოზიციით „პორტის მუშები“. მხატვარმა ამ ფერწერული ტილოთი ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მისი ნაწარმოებები კომპოზიციის და კოლორიტის გადაწყვეტით საინტერესო და მრავალფეროვანია. განწყობილებით საკვლია მისი სერია „ზემო სვანეთის პეიზაჟები“, მაყურებელს მოსწონს აგრეთვე მისი ნატიურმორტები და „ლატვიის პეიზაჟები“.

თავისებური ხელნაწერით ხასიათდება **ვ. ბუბნოვას** შემოქმედება. იგი წლების მანძილზე იაპონიაში ცხოვრობდა, აფხაზეთში კი 1958 წელს ჩამოვიდა. ეფექტური და ლამაზია ბუბნოვას ნატიურმორტები თემის შერჩევით, ნატიფი ხაზებით და შუქ-ლვარე ფერებით. მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პორტრეტს. გამოფენაზე ექსპონირებულ მის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ „ცისფერი თავსაფარი“ და „მამაკაცის პორტრეტი“.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **ნ. თაბუკაშვილის** „აფხაზეთის პეიზაჟები“ ხასიათდება მოხდენილი ნახატით, ხალასი და მკღვარი ფერებით, სავსეა სინათლით, ჰაერით, ფერთა და ელფერთა ლამაზი გადასვლებით.

ინტერესი გამოიწვია საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **ო. ბრენდელის** ნამუშევრებმა, რომლებიც ამყოვანებენ მხატვრის დიდ ფანტაზიას, თავისებურ მხატვრულ ხედვას („დილა“, „მთებში“ და სხვ.).

სამწუხაროა, რომ გამოფენაზე ძუნწად ვხედავთ საქართველოს დამსახურებული მხატვრის **ე. შჩეგლოვის** შემოქმედებას. ექსპონირებული სურათი „პორტში“, რა თქმა უნდა, ბევრს ვერაფერს გვეტყვის ამ ნაყოფიერი მხატვრის შემოქმედებაზე.

განწყობილებით არის დაწერილი **ა. ჭედიას, რ. გაბელიას, ვ. გელბას, ხ. ავიძბას, ვ. არლენკინის, ვ. ერშოვას, ა. ცქვიტარიას** პეიზაჟები და ნატიურმორტები, **ე. აფაქიძის** და **დ. ამბარის** პორტრეტები.

ქანდაკება გამოფენაზე წარმოდგენილია პორტრეტები, თუ არ ჩავთვლით საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მოღვაწის **ჭ. კუკულაძის** „დაუმორჩილებელსა“ და **ი. ჭკადუას** „სევდას“. პოეტის საინტერესო სახე შექმნა აფხაზეთის ასსრ დამსახურებულმა მოღვაწემ **ბ. ღლობერიძემ** თავისი „დავით გურამიშვილის“ პორტრეტით. ორიგინალურად არის გადაწყვეტილი მისივე „გ. გულიას პორტრეტი“. ჭ. კუკულაძემ, რომელსაც აღრე ვიცნობდით როგორც კარგ ფერმწერსა და გრაფიკოსს, გამოფენაზე თავი გამოიჩინა საინტერესო ქანდაკებებით (კომპოზიცია „დაუმორჩილებელნი“, გმირი ქალიშვილის ნ. ჟორჩენკოს და სსრკ სახალხო მხატვრის **ა. ქუთათელაძის** პორტრეტები).

აღსანიშნავია პირველი აფხაზი მოქანდაკე ქალის, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **მ. ეშბას** ნაწარმოებები. მოქანდაკე ისწრაფვის ქანდაკების ძუნწი ხერხების მეშვეობით გადმოგვცეს თავისი გმირების (მხატვარ ო. ბრენდელის, ძველი ბოლშევიკის მალლაძის და პოეტ წვიტბას) შინაგანი სამყარო.

კარგია მოქანდაკეთა **ხ. ივანბას, ი. ჭკადუას** და **გ. ფარცვანიას** მიერ შესრულებული პორტრეტები.

აფხაზეთის სახვითი ხელოვნების ოსტატებმა ამ გამოფენით ერთხელ კიდევ გვიჩვენეს, რომ მათ აინტერესებთ როგორც წარსული, ისე დღევანდელი დღე, მხურვალედ ეხმაურებიან თანამედროვეობის მნიშვნელოვან მოვლენებს.

ᲘᲠᲘᲜᲔ ᲣᲨᲜᲐᲫᲔ.
ხელოვნებათმცოდნე.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: აფხაზეთის მხატვართა გამოფენის ექსპონატები — რ. აფაქიძე „ბებიას იმედი“ (ზემოთ), ქვემოთ, მარცხნიდან — ე. ეშბა „მხატვარ ო. ბრენდელის პორტრეტი“, ი. ცომაია „პორტის მუშები“, ხ. ავიძბა „ოჯახური პორტრეტი“.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲔᲚᲔᲠᲘ...

ᲛᲐᲚᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲨᲝᲜᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ გროსმაისტერს ეკუთვნის ... გელერს კვლავ 8 ქულა აქვს და ... ლიდერობს ჰადრაკში მსოფლიო პირველობის საშონათაშორისო ტურნირს. მისი მეთორმეტე ტურის პარტია ამერიკელ რობერტ ფიშერთან 41-ე სვლაზე გადაიდო ხუთი საათის თამაშის შემდეგ.

მეთორმეტე ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: ტალმანოვმა მოიგო მინიჩს, პორტიშმა — ჰორტს, უოტუშენმა — რუბინეტის, ულმანმა — ხიმენესს.

ყაიმით დამთავრდა მეკინგ-პანოს, რეშევსკი-ბლიგოორჩის, ნარანია-სმისლოვის, ივკოვ-სათლზის შეხვედრები.

კიდევ სამი პარტია გადაიდო: მატულოვიჩ-ადასონის, ლარსენ-პიუნერის, პოლუგაევსკი-ფილიპის შეხვედრები.

ახლა გელერს კვალდაკვალ მისდევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გროსმაისტერი ვოლფგანგ ულმანი — 7,5 ქულა. ფიშერს აქვს 7 ქულა და სამი დაუმთავრებელი შეხვედრა.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲒᲔᲚᲪᲨᲘ

ᲒᲔᲚᲪᲨᲘ გრძელდება ჩვენი ქვეყნის ოცდაშვიდი ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ჰადრაკში ქალთათვის.

გათამაშდა სამი ტური, რის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. მესამე ტურში კუშნირმა დაამარცხა ზატულოვსკაია, სტარჩენკომ — ბორისენკო, რანიკუმ — ლემაჩკო, საუნინამ — ალეოხინი, როოტარემ — სემიონოვა, სამულმა — უშაკოვა. ზაიცევა-ლიუბარსკაიასა და კახაბრიშვილი-ბელავენეცის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას კონოპლიოვამ მოუგო კუშნირს, ლემაჩკომ — სტარჩენკოს, სანაძემ — მოროზოვას, სამულმა — ბორისენკოს, ლევიტინამ — მოროზოვას. სემიონოვა-ლევიტინასა და ზატულოვსკაია-კახაბრიშვილის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ლიდერია ტალინელი მ. სამული, რომელსაც 2,5 ქულა აქვს. ნ. კონოპლიოვას, მ. რანიკუსა და ლ. საუნინას ორ-ორი ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

ოქტომბერი, ... — ... პორტიშს აქვთ 7-7 ქულა. ტალმანოვს — 6,5 ... ქულა. ... სამი გადადებული პარტია. ... ადგილებზე არიან ბლიგოორჩი და პოლუგაევსკი, რომლებსაც 6-6 ქულა და თითო დაუმთავრებელი შეხვედრა აქვთ.

უოტუმენს აქვს 6 ქულა, სმისლოვს — 5,5 (ერთი გადადებული პარტია), სათლზს —5, ლარსენს — 4,5 და... ოთხი გადადებული პარტია. მინიჩს, ნარანიასა და რეშევსკის აქვთ 4,5-4,5 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია, პიუნერსა და მატულოვიჩს — 4-4 ქულა და, ისე როგორც ლარსენს, 4 დაუმთავრებელი შეხვედრა. ადასონსა და ფილიპს აქვთ 3,5-3,5 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია, რუბინეტის — 3 ქულა და 2 გადადებული პარტია, პორტს — 2,5 ქულა და სამი გადადებული პარტია, ხიმენესს — 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ოთხშაბათს მოეწყობა 19 გადადებული პარტიების დამთავრება. სპეციალისტთა აზრით, ლარსენმა უნდა მოუგოს ფიშერს, სამაგიეროდ უნდა წააგოს პორტთან, ხოლო ფიშერ-მატულოვიჩის შეხვედრა ალბათ ყაიმით დამთავრდება. (საკდესი).

ᲞᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲐᲙᲘᲐᲓᲐᲖᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). დამთავრდა აჭარის მეხუთე სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს. პირველ ადგილზე გამოვიდნენ ბათუმელები, რომლებმაც 381 ქულა შეაგროვეს.

სპარტაკიადაზე თავი გამოიჩინეს მცურავებმა, ძალოსნებმა, ხელბურთელებმა, ფრენბურთელებმა. სპარტაკიადამ გამოავლინა ნაკლოვანი მხარეებიც. სუსტად გამოიყურებოდნენ ხუნოს, ქედისა და შუახევის გუნდები.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲐᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „სინათლის“ სასპორტო დარბაზში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა კალათბურთში ერაყის ნაკრებისა და თბილისის „სინათლის“ ვაჟთა გუნდებს შორის. გამიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 74:69.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲡᲣᲜᲘᲢᲘ ᲙᲣᲛᲐᲠ ᲩᲐᲢᲔᲠᲯᲘ 80 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲓᲦᲔᲡ, 26 ნოემბერს, 80 წელი შეუსრულდა სახელგანთქმულ ინდოელ ენათმეცნიერსა და მწერალს სუნიტი კუმარ ჩატერჯის, რომელიც ორჯერ იყო საქართველოში. პირველად — 1960 წელს, როცა იგი ბრუნდებოდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც მიწვეული იყო ლექციების წასაკითხად. მოსკოვში იგი დაესწრო ორიენტალისტთა XXV საერთაშორისო კონგრესს და მოხსენებაც გააკეთა, შემდეგ კი საქართველოში ჩამოვიდა. თბილისში ყოფნისას პროფესორი ჩატერჯი გაეცნო საქართველოს წარსულსა და თანამედროვე ვითარებას. ძალიან ნასიამოვნები დარჩა როგორც ჩვენი ისტორიული წარსულით, ისე იმ წარმატებათა ნახვით, რაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გვაქვს მოპოვებული.

პროფესორი ჩატერჯი ზედმიწევნით პროგრესულად მოაზროვნეა. მან მოისურვა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მონახულება და მშვენიერი სიტყვა წარმოთქვა. (ჩაწერილია მაგნეტოფონზე და ინახება იქვე). ამის შემდეგ იგი ჩვენი ქვეყნის ახლო მეგობარი გახდა. მეორედ პროფესორი ჩატერჯი გვეწვია 1966 წელს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეზე. მაშინ აქ მან დაწერა რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსი სანსკრიტულად, რომელიც დაიბეჭდა თბილისში 1969 წელს კრებულში „აღმოსავლური ფილოლოგია“ ოთხ (სანსკრიტულ, ინგლისურ, ქართულ და რუსულ) ენაზე.

პროფესორ ჩატერჯის მეგობრობა ჩვენთან ჩაისახა ჯერ კიდევ 1947 წელს, როდესაც მას პირადად გავეცანით ინდოეთში. მას შემდეგ დღემდე ჩვენს შორის მიწერ-მოწერა არ შეწყვეტილა, ხოლო 1967 წელს, როცა 80 წელი შემისრულდა, პროფესორმა ჩატერჯიმ მომილოცა საამაოდ დიდი სანსკრიტულად დაწერილი ლექსით, რომელიც დაიბეჭდა იმავე კრებულში ორ (სანსკრიტულად და ქართულად) ენაზე.

პროფესორ ჩატერჯის, მისი იუბილეს გამო (რომელიც იმართება მოსკოვშიც) ჩვენ ინდოეთში გავუგზავნეთ მისალოცი დეპეშა, როგორც საქართველოს დიდ მეგობარს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ,
აკადემიკოსი.

• • •

სურათზე, რომელიც გადაღებულია თბილისში 1960 წელს, თქვენ ხედავთ (მარცხნიდან) პროფესორ ჩატერჯის, მის მოწაფეს ბენგალურ ენაში ე. მ. ბიკოვას და აკადემიკოს გ. ახვლედიანს.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

ᲓᲘᲙᲚᲝᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗ

24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის კლუბში გაიხსნა იმ წიგნების გამოფენა, რომლებმაც გაიმარჯვეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მე-11 სრულიად საკავშირო კონკურსში საუკეთესო მხატვრული გაფორმებისა და პოლიგრაფიული შესრულებისათვის. ცენტრალური და რესპუბლიკური გამომცემლობების მიერ გამოშვებული ათასზე მეტი წიგნი მონაწილეობდა ამ შემოქმედებითს შეჯიბრებაში. 275 გამოცემა მიჩნეულია საუკეთესოდ და დაჯილდოებულია დიპლომებით.

კონკურსის უმაღლესი ჯილდო — ი. ფედოროვის სახელობის დიპლომი მიიღეს წიგნმა „ქართული ხელნაწერები“, გამომცემლობა „ხელოვნებამ“, რომელმაც იგი მოამზადა გამოსაცემად, წიგნის მხატვარმა ზ. კაპანაძემ და პოლიგრაფიული გამომცემლობის მთავარი სამმართველოს თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამბამ.

მეორე ხარისხის დიპლომი დაჯილდოებული არიან ვ. მაიაკოვსკის წიგნი „ვ. ი. ლენინი“, გამომცემლობა „ნაკადული“, სტამბა „რევოლუციის ნაპერწკალი“, სადაც იბეჭდებოდა წიგნი და „იზვესტიის“ სტამბა (მოსკოვი) გამოცემის აწყობისათვის.

მეორე ხარისხის დიპლომები მიენიჭათ აგრეთვე საქართველოს სახალხო მხატვრის ხ. მაისაშვილის მინიატურების წიგნს, გამომცემლობა „ხელოვნებას“, წიგნის მხატვრულ რედაქტორს ზ. კაპანაძეს, ტექნიკურ რედაქტორს ჯ. ბურდულს, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატსა და ფერადი ბეჭდვის სტამბას.

წამახალისებელი დიპლომებით დაჯილდოებული არიან კრებული „საქართველოს პოეტები ლენინს“ (გამომცემლობა „მერანი“ და პოლიგრაფკომბინატი „ყადა“ ჩასმის სამუშაოებისათვის.

ყველა ეს გამოცემა წარდგენილია ექსპოზიციაში.

გამოფენა გახსნილი იქნება ხუთ დღეს. თბილისის შემდეგ მის ექსპონატებს გაეცნობიან ერევნის მცხოვრებნი.

(საქდესი).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐ“ 40 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

40 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ შესრულდა სამტრედიის რაიონული გაზეთის „წინსვლის“ პირველი ნომრის გამოსვლის დღიდან. ამ თარიღს მიეძღვნა რაიონულ კულტურის სახლში გამართული მკითხველთა კრება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კოხრეიძემ.

მოხსენება გააკეთა გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორმა ვ. ნიკოლეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ გაზეთის რედაქციის კოლექტივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით წარმატებით იბრძვის სამტრედიის რაიონის შრომელთა წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე მკითხველები, რომლებმაც შემდგომი წარმატებანი უსურვეს გაზეთს.

(საქდესი).

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝᲡ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ

ლევან გოთუა — მითრიდატე. რომანი, წიგნი I. რედაქტორი ა. გეწაძე, მხატვარი ზ. კაპანაძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

გენო ჭილბაქიანი — მოწყენინა ფაბს საკითხავად. ლუმორისტული ნაწარმოებები. რედაქტორი ი. ხოშტარია, მხატვარი ე. ამბოკაძე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

რეზო ამაშუკელი — ლექსები. რედაქტორი მ. ჯაფარიძე, მხატვარი ლ. ღვინჭილია. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

კუკური გოგიაშვილი — მზეს უმღერიან. ლექსები. რედაქტორი ი. ორჯონიკიძე, მხატვარი ვ. გიორგობიანი. გამომცემლობა „ნაკადული“.

ქეთევან ხაჩიაშვილი — ჩემი ძარგო ქვეყანაში საბავშვო მოთხრობები. რედაქტორი მ. ზუბალაშვილი, მხატვარი ბ. ბერეშიძე. გამომცემლობა „ნაკადული“.

სტეფან ზორიანი — პაშლის ბალი. მოთხრობები. მთარგმნელები კ. გამსახურდია, ივანე, არტემ და არჩილ დავითიანები. წინასიტყვაობა არჩილ დავითიანისა. რედაქტორი ნ. აგიაშვილი, მხატვარი ბ. ვაშაძე, გამომცემლობა „მერანი“.

ბენიკ სეირანიანი — შეხვედრა სიმღერასთან. ნოველები, იუმორისტული მოთხრობები, მინიატურები. მთარგმნელები ივ. და არჩ. დავითიანები, სტ. მხარგრძელი, მ. მამაცაშვილი, მ. თარონდა. რედაქტორი ც. ჩხაიძე, მხატვარი ჯ. ყავლაშვილი. გამომცემლობა „ნაკადული“.

ავლიან ზურაბაშვილი — შოთა რუსთაველი. ნიკოლოზ ბარათაშვილი. ვაჟა-ფშაველა. ფსიქოლოგიური ნარკვევები. რედაქტორი ნ. ხომერიკი, მხატვარი სპ. ციხლაძე. გამომცემლობა „მერანი“.

ვახო ბაიაძე — მწერალი და თანამედროვეობა. ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. რედაქტორი ნ. ალანია, მხატვარი ი. ფუთურაშვილი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲜᲐᲬᲠᲗᲝᲛᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ — კრებულში დაბეჭდილია პ. შამათავას, ა. კოკილაშვილის, ვ. სიხარულიძის, დ. ლომბათიძის, კ. მესხის, კ. ჯოხაძის ფრონტული ნარკვევები. წინასიტყვაობა ნ. შვილიძისა. რედაქტორი ნ. შვილიძე, მხატვარი ო. ვარვარაძე. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა.

ნიკო კეცხოველი — მასალები საქართველოს კოოპერაციის შიდასასეობრივი სისტემისათვის. ნაკვეთი I. გამომცემლობის რედაქტორი ს. ჩიჩუა. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

● **ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ** რაიონის უხუცესი ფოსტალიონი ფილიპე თოდაძე სიყვარულით და პატივისცემით საგებლობს. მეოთხედ საუკუნეზე მეტია იგი დაუზარელად ატარებს ტყვიის ზურგჩანთას და დროულად მიაქვს მაიაკოვსკელ კოლმეურნეებთან ეურნალ-გაზეთები, წერილები და სხვა გზავნილებები.

ამჟამად ფ. თოდაძე წარმატებით აწარმოებს ხელმოწერის გაფორმებას მომავალი წლის პერიოდულ გამოცემებზე.

Გ. ᲛᲔᲫᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔ.

● **ᲛᲔᲡᲢᲘᲐ.** რაიონული ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი მოიცავს 21 ათას ეგზემპლარზე მეტს. ბიბლიოთეკა მდიდარია მხატვრული, პოლიტიკური, ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და სხვა სახის ლიტერატურით.

წიგნის ფონდი განსულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ბიბლიოთეკის მუდმივ მკითხველთა რიცხვი 600-ზე მეტია. მათ შორის არიან მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლე ახალგაზრდობა და კოლმეურნეები.

ᲔᲓ. ᲡᲣᲒᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲒᲣᲚᲘᲡ სისხლძარღვების სისტემის, ფილტვების, საშვილის მოსანელებელი ორგანოების, შაქრიანი დიაბეტის დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების შესახებ ასი მოხსენება მოისმინეს მედიკებმა თბილისის კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა თერაპევტთა და ქირურგთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოებების ინიციატივით. კონფერენციაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და რაიონის მეცნიერი-მედიკები და პრაქტიკოსი ექიმები.

კონფერენციის თავისებურება ის იყო, რომ მასში აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის ყველა პრაქტიკოსი ექიმი: მაგალითად, ზესტაფონიდან ექიმებმა ი. ფანჩულიძემ, რ. დოლიძემ და პ. რობაქიძემ მომზადეს მოხსენებანი ფილტვების დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთ პრობლემაზე. მანგანუმის მრეწველობაში მომუშავეთა შორის კუჭის ზოგიერთი დაავადების გავრცელების შესწავლის შედეგების შესახებ ილაპარაკა ჭიათურიდან ექიმმა ლ. ენუქიძემ. შაქრიანი დიაბეტის დროს ღვიძლის ზოგიერთი ფუნქციის შესახებ მოხსენება წაიკითხა ახმეტიდან ექიმმა თ. გიგაურმა.

კონფერენციაზე აირჩიეს საქართველოს თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის ახალი შემადგენლობა. გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიის კათედრის გამგე, პროფესორი ი. ცინცაძე.

(საქდესი).

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝᲡ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ

ᲤᲘᲚᲢᲕᲘᲖᲘᲐ

26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.25 — ქართული მხატვრული ფილმი — „დავით გურამიშვილი“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.40 — განცხადებები, 18.45 — გადაცემა „თბილისელთა ღვიძლი საქმე“, 19.25 — კინონარკვევი, 19.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ბუნების კარი“, 20.25 — გადაცემა „ძველი თბილისის მეზურნეები“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი, 21.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „კინოობიექტივი“.

27 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 12.05 — გერმანული მხატვრული ფილმი „ანმგრძობი“ (ქართულ ენაზე), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის „თქვენი ახალი მეგობრები“, 18.35 — „ციტრუსოვანთა გამოზამთრების ღონისძიებანი“, 18.50 — კონცერტი, 19.30 — საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური წელი, 20.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 21.05 — მხატვრული ფილმი „ქორწილი“, 22.15 — სატელევიზიო ალმანახი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

Თ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სემიონ კოტკო; **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მიწის შვილები; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მთვარის მოტაცება; **გრიბოედოვის სახელობის** — ადგილი დაუთმე ხვალინდელ დღეს (მე-9 აბონ. მე-2 წარმოდგენა); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დივიზია № 16 (აბონ. 8 ს.); **თოჯინების ქართული** — მელაკოდა (10 ს. და 12 ს. 134-ე სკოლა) — თხუთნია (2 ს. 48-ე სკოლა).

ᲙᲘᲜᲝ

26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ოქტომბერი — **წითელი ეკრანი** (I, II სერია); ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, სიხარული, თბილისი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, სპორტკაკი, კოლხიდა, ბათუმი — **გიტარიანი თვითმარქვია**; საქართველო (მწვანე დარბაზი) — **მატარებელი** (I, II სერია); ყაზბეგი (პირველი დარბაზი), კოლმეურნე — **მოლოდინი**; 26 კომისრის სახელობის (მწვანე დარბაზი), ეკრანი — **ვეფხვის ნაკვალევზე**; 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი), ვარძია, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ერთ-ერთი ქალაშვილი**; თანამგზავრი — **პრინცესა**; ნაკადული, ბორკის სახელობის კულტურის სახლი — **შვიდდღიანი ვადა**.

ᲔᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲐ

ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ

ᲘᲜᲕᲐᲠᲯᲘᲡ, დამბლის საწინააღმდეგო და ნერვოლოგიური მანქანები, რომლებიც რენინმაციისათვის საჭირო პორტატიული აპარატებით არიან აღჭურვილი, მედიცინის მუშაკებს საშუალებას აძლევს დაუყოვნებლივ გაუწიონ დახმარება ადამიანს უბედურების შემთხვევაში.

**სამედიცინო ხელსაწყოთსამშენებლო საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად შექმნეს ფილტვების ხელოვნური სავენტილაციო ახალი აპარატი — „რდ-3“. მას შეუძლია აღადგინოს დარღვეული სუნთქვა, ფილტვებს მიაწოდოს უანგბადით გამდიდრებული ჰაერი და სუნთქვის ორგანოებიდან გამოდევნოს ზედმეტი ნახშირორჟანგი. ამ სიახლემ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ახალგაზრდობის ტექნიკური